

თბილისი

15.07.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნოდარ პაპუკაშვილი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე; ზურაბ გასიტაშვილი - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დევი ხვედელიანი - ა(ა)იპ - კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრი - საბჭოს მდივანი;

გრიგოლ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოლონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი;

ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

თინათინ კაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

თამარ ბადდავაძე - შპს „ლენდ მარკ პროექტის“ არქიტექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნების ლექტორი.

სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

ევა ლეფსვერიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი ოდიშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნინო შიოშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

გიორგი ქვარცხავა - ფაკულტეტის დეკანი
გიორგი გაგოშიძე - პროფესორი
ნინო ლომიძე - ხარისხის სამსახურის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ექსპერტები:

ლაშა ლალიაშვილი

სააპელაციო საბჭოს სხდომა დაიწყო 17:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ პაპუკაშვილმა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28⁷-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.



საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა განსახილველ საკითხთან მიმართებით აცილება.

საბჭოს წევრებმა ზურაბ გასიტაშვილმა, თინათინ კაიშაურმა და გიორგი სალუქვაძემ განაცხადეს საკითხთან მიმართებით თვით აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ წარმოადგინა განსახილველი საკითხი. საკითხი ეხებოდა „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც 2019 წლის 26 თებერვლის N53 გადაწყვეტილებით მიენიჭა 2 წლიანი პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს პოზიციის წარმოსადგენად.

დაწესებულების წარმომადგენელმა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მოხდა „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა. ექსპერტთა დასკვნის თანახმად, პროგრამას 5 სტანდარტიდან 4 - სტანდარტში ჰქონდა სრული შესაბამისობა, ერთში - მეტწილი შესაბამისობა. მისი განმარტებით, საბჭოზე უშუალოდ მსჯელობისას მოწვეულნი იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტები, ვინაიდან საბჭოში მყოფი ორი წევრი ქალბატონი დენიტა ბიბილეიშვილი და თავად გიორგი ქვარცხავა ვერ იღებდნენ განხილვაში მონაწილეობას, რადგან დაწესებულების მხარეს წარმოადგენდნენ.

დაწესებულების წარმომადგენლისთვის მოულოდნელი და გაუგებარი იყო სტანდარტის დაწევა, კერძოდ, მეორე სტანდარტის ნაწილობრივ შესაბამისობაში გადაყვანა. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტებთან პრეტენზია არ ჰქონდათ, რადგან პროგრამა დადებითად შეაფასეს, ისევე, როგორც დამოუკიდებელმა მოწვეულმა ექსპერტებმა, კითხვა-პასუხიც დადებითად წარიმართა. შესაბამისად, მოულოდნელი იყო აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, მისი აზრით, რა იყო მე-2 სტანდარტის დაწევის მიზეზი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მისთვისაც გაუგებარია მიზეზი, რადგან ოქმშიც არ იყო ის ნათლად ჩამოყალიბებული და მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც 2 წელია საბჭოს წევრია გაუგებარია მიზეზები. ასევე დაამატა, რომ როდესაც საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდება აკრედიტაციის საბჭოს ამ კითხვას კოლეგებს აუცილებლად დასვამს.



დაწესებულების წარმომადგენელმა უშუალოდ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა მეორე სტანდარტში მეტწილი შესაბამისობა, ექსპერტებმა გასცეს 7 რეკომენდაცია. წარმოდგენილი 7 რეკომენდაციიდან მისი განმარტებით, მეოთხე და მეშვიდე რეკომენდაციები იყო ექსპერტების ხარვეზი, რადგან მათ არასწორად მოახდინეს სტანდარტების შეფასება. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა, თითოეული თემატური სემინარის შეფასებას 100 ქულით, რაც დაწესებულებას ასევ ჰქონდა, მაგრამ ტექნიკური სახის შეცდომის გამო მოხდა კოეფიციენტების არასწორი დათვლა, შესაბამისად, ეს რეკომენდაცია მათ გააჩათილეს. მეშვიდე რეკომენდაცია კი ეხებოდა დისერტაციის ერთჯერად შეფასებას, სადაც ასევე ტექნიკური სახის შეცდომა იყო და ესევ გაარკვიეს. მისი მოსაზრებით, ამ ყველაფერს არ უნდა ემოქმედა სტანდარტის დაწევაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა დაზუსტება სად იყო გაპარული ტექნიკური სახის შეცდომა ძირითად დოკუმენტში თუ სხვაგან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა დაუზუსტა, რომ შეცდომა გაპარული იყო ექსპერტების დასკვნაში.

პროგრამაზე მიღების მკაფიო გაწერის რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ვებ - გვერდზე უდევთ მიღების წესები და მიღებისას უშუალოდ დოქტორანტობის კანდიდატსაც აცნობენ ამ პირობებს. შესაბამისად, მისი აზრით, ამას სტანდარტის დაწევაზე რაიმე გავლენა არ უნდა მოეხდინა. რაც შეეხება რეკომენდაციას პროგრამაში უცხო ენის ცოდნის დონის მკაფიოდ გაწერასთან დაკავშირებით, გიორგი ქვარცხავამ განმარტა, რომ ინფორმაცია ასევე, მათ ვებ-გვერდზე აქვთ გამოქვეყნებული და ტესტების ნიმუშები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ, საბჭო მიუთითებდა ექსპერტების იმ რეკომენდაციაზეც, რომელიც ეხებოდა პროგრამაში, სადოქტორო დებულებაში საფაკულტეტო დროებითი კომისიის მიერ ჩაბარების მსურველის გასაუბრების ფორმატის მკაფიოდ გაწერას, რაც დაწესებულებას დებულებაში აქვს გაწერილი და გამოქვეყნებულია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული დებულება საუნივერსიტეტო იყო და საერთო იყო ყველა პროგრამისთვის თუ საფაკულტეტო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იყო საუნივერსიტეტო და რომც არ ყოფილიყო ფაკულტეტის ვებ - გვერდზე მითითებულია ეს ინფორმაცია. მისი აზრით, ეს არ იყო არსებითი სახის შეცდომა, მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე ყველა სახის ინფორმაცია საჯაროა, თუმცა აკრედიტაციის საბჭოს პოზიციით საჭირო იყო ამ ინფორმაციის უფრო მკაფიოდ გაწერა.

დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო იმ რეკომენდაციასაც, სადაც ექსპერტებს დარჩათ ისეთი შთაბეჭდილება თითქოს სადოქტორო პროგრამაზე ისინი იღებდნენ ბაკალავრიატის ხარისხის მქონე სტუდენტებს, შესაბამისად ისინი ითხოვდნენ უფრო მკაფიოდ ამ პუნქტის გაწერას. მისი განმარტებით კი სადოქტორო პროგრამაზე ბაკალავრიატის ხარისხის მქონე ადამიანს კანონით ვერ მიღებენ.

საბჭოს წევრი გრიგოლ ტატიშვილი გამოეხმაურა უნივერსიტეტის წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ მათ დებულებაში დახრილი ხაზით აქვთ გამოყოფილი ბაკალავრიატი და მაგისტრატურა და ალბათ ამას გულისხმობდნენ ექსპერტებიც, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ქვარცხავამ განმარტა, რომ დოქტორანტურაში სწავლებაზე

დაიშვებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერების და საინჟინრო მეცნიერების მქონე პირები, რომლებსაც აქვთ განათლება ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, რაც არ ნიშნავს იმას, რომ დოქტორანტურაში იღებდნენ ბაკალავრიატ დამთავრებულს. ასევე დაამატა, რომ ამ ხარვეზსაც არ უნდა მოხდინა რაიმე ზეგავლენა სტანდარტის დაწევაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა ნინო ლომიძემ ისაუბრა მეხუთე და მეექვსე სტანდარტან მიმართებით, რომლის შესახებაც სააპილაციო საჩივარშიც აღნიშნეს, რომ მექანიკური სახის შეცდომა იყო დაშვებული პირველ სტანდარტან მიმართებით. კერძოდ, 1.1 კომპონენტი ექსპერტებს შეფასებული პქონდათ, როგორც მეტწილად შესაბამისი, რომლის შესწორებაც აღარ მოხდა, ხოლო სტანდარტი მისი თქმით, სრულ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო.


რაც შეეხება, იმ რეკომენდაციებს, რომელიც ეხებოდა შეფასების სისტემას, სასწავლო კურსის ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების გადახედვასა და პროფესორებისთვის აკადემიური თავისუფლების მიცემას, ხარისხის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აბსოლუტური თავისუფლება აქვთ მათ აკადემიურ პერსონალს შეფასებისას და ისინი შეზღუდულნი არ არიან მეთოდებში მისი თქმით, ლექტორმა თვითონ უნდა დაწეროს სილაბუსი, იყოს პასუხისმგებელი მასზე და ხარისხის სამსახურის უფროსი არ მიუთითებს მას თუ როგორ შეადგინოს აღნიშნული სილაბუსი. მან ასევე დაამატა, რომ მათ სადოქტორო დონეზე სულ აქვთ 4 – 5 სილაბუსი და პროგრამა არის ისეთი სპეციფიკური პროგრამა, სადაც გამოყენებულია შეფასების ერთნაირი მეთოდები.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერისტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ, დოქტორანტების კვლევითი კომპონენტის შესრულება იწყებოდა პირველი სემესტრიდან. რაც გაწერილი აქვთ დოქტორანტურის დებულების ერთ - ერთ დანართში. რომელშიც განმარტებულია, რომ დოქტორანტი ადგენს ხელმძღვანელთან პერსონალურ სამუშაო გეგმას, შემდეგ დოქტორანტს ეძლევა სამუშაო და ის ასრულებს მიცემულ დავალებას პირველივე სემესტრიდან.

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა ასევე დაამატა, რომ როდესაც ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო, მოწვეული ჰყავდათ ორი დარგის სპეციალისტი, რომლებმაც დადებითად შეაფასეს პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა თუ ვინ იყვნენ მოწვეულნი, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ნინო ვეფხოშვილი - თელავიდან და როზა ლორთქიფანიძე - ქუთაისიდან, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ ცენტრის მხრიდან. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა პროგრამა დადებითად შეაფასეს და დაამატა, რომ სატყუ მიმართულებაში სადოქტორო დონის კვალიფიციური სპეციალისტები ბევრნი არ არიან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათთვის გადაწყვეტილების მიღება იქნებოდა ძალიან რთული, რადგან სხდომას არ ესწრებოდა მეორე მხარე და არ იცოდნენ მეორე მხარის პოზიცია, სხდომას ესწრებოდა სტუდენტი ექსპერტი, რომელთანაც პრობლემა დაწესებულებას არ პქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია ასეთ ვითარებაში საბჭომ როგორ უნდა მიიღოს სააპელაციო გადაწყვეტილება, ასევე,



დაწესებულებას მიმართა, რომ განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში, პირობითი აკრედიტაციის საკითხი ხელმეორედ ვერ დადგებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის თანახმაა დაბრუნდეს საკითხი განსახილველად და აკრედიტაციის საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება ან აკრედიტაციის შესახებ ან აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ, რადგან მათ ვერ მიიღეს პასუხი კითხვაზე თუ რატომ გადავიდა მეორე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაში და მიიღეს პირობითი აკრედიტაცია „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ მათთაც დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ირაკლი მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ის 2 წელია საბჭოს წევრია და ადრე როდესაც ავტორიზაციის ან აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივარი იხილებოდა, სხდომას აკრედიტაციის/ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენელი აუცილებლად ესწრებოდა ხოლმე, ხან თავმჯდომარე, ხან მოადგილე. უკვე მერამდენე სააპელაციო საბჭოს სხდომა იყო, სადაც არ ესწრებოდნენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები. ის დარწმუნებულია, რომ აკრედიტაციის საბჭო კვალიფიციური წევრებითაა დაკომპლექტებული, მათ კომპეტენტურობაში ეჭვი არავის ეპარება, მისი თქმით, საბჭოს წევრებს ალბათ ობიექტური საფუძველი ჰქონდათ იმ გადაწყვეტილების მისაღებად რაც მიიღეს, მაგრამ სასურველი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული შენიშვნების განმარტებისთვის წარმომადგენლის სხდომაზე დასწრება. მისთვის გაუგებარი იყო, აკრედიტაციის საბჭოს 16 წევრიდან როგორ ვერ შეძლო ვერცერთმა წევრმა სააპელაციო საჩივრის განხილვაზე დასწრება, განსაკუთრებით კი დარგის სპეციალისტებმა. იგი დაეთანხმა თავმჯდომარის მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ ძნელია გადაწყვეტილების მიღება, როცა მეორე მხარის პოზიცია არ გაქვს მოსმენილი და გადაწყვეტილების მისაღებად არ ხდება პოზიციების ურთიერთშეჯერება. მისი თქმით, საინტერესო იქნებოდა მათი მოსაზრებების მოსმენა, იმის შესახებ თუ რის საფუძველზე მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. საბჭოს წევრმა სთხოვა თავმჯდომარეს დაეყენებინათ ეს საკითხი მოსაგვარებლად შესაბამის პირებთან. უმჯობესი იყო გადადებულიყო სააპელაციო განხილვაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმ კვირაში წარდგენილი იყო 8 საგანმანათლებლო პროგრამა საბჭოზე, რომელთაგან 7 - მა მიიღო სრული აკრედიტაცია.

საბჭოს წევრმა გრიგოლ ტატიშვილმა ექსპერტებთან მიმართებით აღნიშნა, რომ როზა ლორთქიფანიძე საქართველოში ნიადაგმცოდნეობაში ერთ - ერთი საუკეთესო სპეციალისტია, მაგრამ მისთვის გაუგებარია, აკრედიტაციის საბჭოს საერთოდ რატომ უნდა სჭირდებოდეს გარე ექსპერტების მოწვევა, როდესაც კონკრეტული სპეციალისტების მიერ უკვე განხორციელებული იყო ვიზიტი დაწესებულებაში, რომლებიც იღებენ შესაბამის ხელფასს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის. საბჭოს წევრმა მიმართა თავმჯდომარეს, დაეყენებინათ აღნიშნული საკითხი განსახილველად, რათა სამომავლოდ მოხდეს ამ ყველაფრის შეჯამება და ერთ სისტემაში მოქცევა.



საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის, რა თქმა უნდა, საჩივრით არ მიმართავს ცენტრს, მაგრამ მისთვის გაუგებარია, როდესაც ისინი იღებენ გადაწყვეტილებას საკითხის დაბრუნების შესახებ და აკრედიტაციის საბჭო არ იზიარებს მათ მოსაზრებებს, რა უნდა გააკეთონ ასეთ შემთხვევაში. მისი თქმით, სააპელაციო საბჭო დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, რომლებიც პოზიციების ურთიერთშეჯერებით არაჩვეულებრივად აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს, მაგრამ დღევანდელ სააპელაციო საბჭოს სხდომაზე არ არსებობს საპირისპირო პოზიცია. მან ასევე, დააფიქსირა საკუთარი პოზიცია იმის შესახებ, რომ ყველა სადოქტორო პროგრამას უნდა ჰქონდეს პირობითი აკრედიტაცია მინიჭებული, თუმცა რა თქმა უნდა ასეთი პრაქტიკა არ არსებობს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავჯდომარის მოსაზრებით, სააპელაციო საბჭოსთვის რთულია მიიღოს გადაწყვეტილება შექმნილ სიტუაციაში.

საბჭოს წევრი დევი ხვედელიანი დაეთანხმა კოლეგებს საკითხის მწვავედ დაყენების შესახებ, რათა სამომავლოდ საბჭოს წევრების დასწრება მომხდარიყო სააპელაციო საბჭოზე.


საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რომ მას დაეფიქსირებინა მისი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლაშა ლალიაშვილმა აღნიშნა, რომ ის პროცესებში აქტიურად იყო ჩართული და მან გასცა რეკომენდაცია მიღების წინაპირობაში დაწესებულებას გაეწერა გეოგრაფიისა და ეკოლოგიის მაგისტრის ხარისხის აუცილებლობა. მისი განმარტებით ამ რეკომენდაციის მიზანი იყო, თემატურად უფრო ახლოს ყოფილიყო მომავალი დოქტორანტი საგანმანათლებლო პროგრამასთან. სხვა მხრივ, მისი თქმით ექსპერტებიც და დაწესებულებაც კეთილგანწყობილები იყვნენ ერთმანეთის მიმართ.

საბჭოს წევრი ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა რამდენი დისერტაცია დაიცვეს სატყეო მიმართულებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ფაკულტეტი დაარსდა 2014 წელს და სატყეო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჰყავთ ორი სტუდენტი, რომლებსაც მე - 4 კურსიდან სტატუსი აქვთ შეჩერებული, რადგან სტატიები არ აქვთ გამოქვეყნებული. ასევე, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ის თვითონ დაესწრო ორივე სტუდენტის წინა დაცვას, ისინი არიან მალიან ძლიერები და მუშაობენ სატყეო დეპარტამენტში. შესაბამისად, ელოდებიან სტატიების გამოქვეყნებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კადრების კატასტროფული დეფიციტია სატყეო მიმართულებით, საქართველოს სატყეო დეპარტამენტში მუშაობს 1 000 კაცამდე, რომელთა მხოლოდ 25 % მუშაობს პროფესიით. მისი თქმით, ყოველ წელს მათ აქვთ შეხვედრები სატყეო დეპარტამენტთან, რომლებიც თვითონ ითხოვენ კადრებს და მისი ხელმძღვანელი ამბობს, რომ ფაკულტეტის ყველა კურსდამთავრებულს დაასაქმებს შემდეგი 30 წლის განმავლობაში, ეს არის სტატიისტიკა. ასევე, დოქტორანტი მათ სჭირდებათ, რომელსაც შემდგომში დისერტაციის თემიდან გამომდინარე შეეძლება პროფესორის პოზიციაზე იყაროს კენჭი, რადგან მათ ჰყავთ ორი პროფესორი და მეტი ადამიანური რესურსი ფიზიკურად არ არის. თუმცა მათ პრობლემა არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ის შენიშვნები რაც იყო დაფიქსირებული ამ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით არის ტექნიკური სახის შენიშვნები, რომლის გამოსწორება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მისი თქმით, არ იყო შენიშვნა კვლევითი



კომპონენტის ხარვეზზე, ადამიანურ რესურსზე, რაც სადოქტორო პროგრამისთვის უმთავრესია. მისი მოსაზრებით, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არა რელევანტურია იმის თქმა, რომ დებულებაში დახრილი ხაზით წერია დაშვების წინაპირობა, ის ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ბაკალავრიატის ხარისხის მქონე ადამიანს იღებენ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ეს იყოს საფუძველი პირობითი აკრედიტაციის მიცემისა.

გრიგოლ ტატიშვილმა აღნიშნულთან დაკავშირებით დაამატა, რომ კანონი უფრო მაღლა დგას ვიდრე შეცდომა ჩანაწერში.

დაწესებულების წარმომადგენელმა კი აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს პროგრამა, მაგრამ შემდეგ მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო აკრედიტაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პირობითი აკრედიტაციის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა პრობლემა იყო და რატომ ასაჩივრებდა უნივერსიტეტი 2 წლიან პირობით აკრედიტაციას, პროგრამა ხომ არ გაუქმდებულა. მისი განმარტებით, საკითხის ხელახლა დაბრუნების შემთხვევაში შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამა ჩავარდეს და ვერ მიიღოს აკრედიტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში აქვთ ყველაზე მეტი ენერგია და რესურსი ჩადებული, გააკეთეს ფაქტიურად ახალი პროგრამა ბოლო ორი წლის განმავლობაში: კონსულტაციები გაიარეს, სილაბუსები გაწერეს. შესაბამისად გაუჩნდათ უსამართლობის გრმნობა.

17:48 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებიებისა და საკითხის სრულყოფილად ვერ შესწავლის გამო, სააპელაციო საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება გადადებულოყო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა საბჭოს მომდევნო სხდომამდე.


საკითხის გადადების მიზეზი გახლდათ აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენლის დაუსწრებლობა. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, აუცილებელია აკრედიტაციის საბჭოს



წარმომადგენლის დასწრება და მისი პოზიციის მოსმენა. ასევე, საბჭოს წევრმა ზურაბ გასიტაშვილმა მოითხოვა შემდეგი სხდომისათვის მოეწვიათ ექსპერტებიც, რათა სააპელაციო საბჭოს მოქსმინა მათი პოზიციაც.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 18:10 საათზე.

თავმჯდომარე:



ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი:

დევი ხვედელიანი

